



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 6 23 0000472049



28/04/2023

**ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/06 დადგენილების, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილების "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის სამი სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ" (ოქმი №2) და ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდია 2023 წლის პირველი მარტიდან 2023 წლის პირველ აგვისტომდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 100 ლარის ოდენობით დაენიშნოს გვანცა თევდორაშვილს
2. დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია 2023 წლის პირველი მარტიდან 2023 წლის პირველ აგვისტომდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 100 ლარის ოდენობით დაენიშნოს გიორგი ქუთათელაძეს
3. აკაკი ხოშტარიაშვილის სახელობის სტიპენდია 2023 წლის პირველი მარტიდან 2023 წლის პირველ აგვისტომდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 100 ლარის ოდენობით დაენიშნოს ლაშა ქუთათელაძეს
4. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი  
კლიმიაშვილი ლევან

წმ